სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● №12 (4533) ● 28 სექტემბერი ● 2016 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●

ბედნიერი იყოს 2016-2017 სასწავლო წელი!

ხმა აჭარიდან სასექტემბრო სიხარულისა

„ჩემი სკოლა სიბრძნის გასაღებია“

ახალ სასწავლო წელს დიდი სიხარულითა და იმედებით შეხვდნენ აჭარის ულამაზეს კუთხეში, **შუახევში**, **სოფელ ცხემლისში**. სოფლის სკოლა მართლაც გამოირჩევა სწავლის მაღალი ხარისხით, პედაგოგთა პროფესიონალიზმითა და მოსწავლეების მომზადების მაღალი დონით. აქაური კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ, კვლავ მშობლიურ კერას უბრუნდებიან და ღირსეულად განაგრძობენ თავიანთი წინაპრების ტრადიციებს, სამშობლოს სამსახურს.

ცხემლისის საჯარო სკოლის ახალი შენობა რამდენიმე წელიწადია რაც აშენდა და ამ ფაქტმა, დიდად გაახარა სოფლის მოსახლეობა, რადგან ბავშვებს კომფორტულ და თანამედროვე ინტერიერით აღჭურვილ გარემოში უწევთ სწავლა-განათლების მიღება. სკოლის დირექტორი გახლავთ უაღრესად ერუდირებული, თავისი საქმის პროფესიონალი და კეთილშობილი პიროვნება **მერაბ ბოლქვაძე.** იგი, პროფესიით მათემატიკოსია და ამ სოფლის მკვიდრია. უყვარს თავისი კუთხე და სიამაყით ყვება თავისი სოფლის მთა-ბარზე, ტრადიციებზე. ბატონ მერაბს ცხემლისელები პატივს სცემენ და აფასებენ როგორც კარგ პედაგოგს, შესანიშნავ დირექტორსა და ღირსეულ მამულიშვილს. დაე, ყველა ისეთი პატრიოტი იყოს, როგორიც ბატონი მერაბი გახლავთ.

მერაბ ბოლქვაძე:

– ჩემი სკოლა — მადლის დედა და სიბრძნის გასაღებია. მეამაყება, რომ ჩვენი სკოლის მდიდარი საგანმანათლებლო ტრადიციები განაპირობა უნატიფესმა ფოლკლორმა და ეთნოგრაფიულმა ყოფამ. სოფლის ულამაზეს ბუნებას კიდევ უფრო ამშვენებს, 2 ათასი წლის წინანდელი სალოცავების ნანგრევები და ბზის ბუჩქები, ნიშნად იმისა, რომ აჭარაა პირველი ქრისტიანული კუთხე საქართველოსი. როგორც ჩვენმა პატრიარქმა ილია II ბრძანა: „კურთხეულ არს აჭარა, სადაც პირველად დაინთო ლამპარი ქრისტეს სიყვარულისა და იქცა განმანათლებლად სრულიად საქართველოსი“. ჩვენი

სკოლის მოსწავლეები, ტრადიციულად სოფლის ახალგაზრდებთან ერთად, ყოველი წლის 1 ივნისს, **წმიდა ნინოს** საქართველოში შემოსვლის დღეს აღნიშნავს. რიტუალი ასეთია: შეიკრიბებიან და **გვანცას მთაზე** ადიან – ბიბლიის, „ქართლის ცხოვრების“ და „ვეფხისტყაოსნის“ თანხლებით. ახალგაზრდები წმიდა წიგნზე ფიცულობენ და საქართველოს მაცხოვარს ავედრებენ.

ცხემლისის სკოლის მესვეურებს კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ განათლება დიდი მადლია და ის, ერთადერთი გზაა წინსვლისა და წარმატებისა. ჩვენი სკოლა კი, ის ადგილია, სადაც ცოდნისა და სამშობლოს სიყვარული სუფევს.

მოკლე ისტორიული ექსკურსი: ცხემლისში პირველი დაწყებითი სკოლა 1931-1932 წლებში გაიხსნა და პირველი მასწავლებელი იყო ოზურგეთელი ახალგაზრდა პედაგოგი — **ავთანდილ სიხარულიძე**. 1964 წელს კი, რვაწლიანი სკოლა გაიხსნა და მისი დირექტორი გახლდათ ღვაწლმოსილი პიროვნება **აკაკი ქათამაძე**. აი, ასე ნელ-ნელა მივიწევდით წინ..

ამჟამად, სოფელს ამშვენებს მშვენიერი სკოლის შენობა, რომელიც 2005 წელს აშენდა. სკოლა დაკომპლექტებულია შესანიშნავი პედაგოგებით, რომლებიც არიან სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები. სწორედ, ჩვენი პედაგოგების დამსახურებაა, რომ ცხემლისის საჯარო სკოლა ერთ-ერთი მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებაა.

ესენია: **ირინე აბუსერიძე, რაული** და **ავთანდილ ბოლქვაძეები, სოფიკო ბრეგვაძე, მარინე დუმბაძე, ნინო მოსიძე, ნატო, მზევინარ, ელდარ, აკაკი** და **რევაზი ქათამაძეები, ზურაბ შარაშიძე, ციური** და **ნუგზარ ციციანები.** სკოლას ჰყავს ძალიან კარგი ადმინისტრატორი და საბუნებისმეტყველო დარგის სპეციალისტი **ელდარ ქათამაძე**, რომლიც თავდაუზოგავად იღწვის პედაგოგების პროფესიული განვითარებისთვის. ასევე, დადებით შეფასებას იმსახურებენ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, სპორტის მასწავლებელი **ზურაბ აბაშიძე** და მისი მოადგილე, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წარმატებული პედაგოგი **მარინე დუმბაძე**.

ჩვეენს სკოლაში სულ 43 მოსწავლეა. აქედან, ბევრი წარჩინებულია. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს: **გოგიტა ბერიძე,** რომელიც მშვენიერ ლექსებს წერს, თუ სურვილი ექნება, ჩვენ ადგილს დავუთმობთ გოგიტას პოეტურ სტრიქონებს, **სალომე ბერიძე, ცოტნე ბოლქვაძე, ნინელი** და **მიგელ დუმბაძეები, ნიკა** და **გიგა კილაძეები, გიორგი, დიანა** და **ცოტნე მგელაძეები, ანუკი** და **თორნიკე მჟავანაძეები, მარი მიქელაძე, გოჩა ქათამაძე** და **არმაზ ციციანი.**

საგულისხმოა, რომ სკოლაში ხშირად იმართება შემოქმედებითი თუ ინტელექტუალური ღონისძიებები. ჩვენი მოსწავლეები მონაწილეობენ ოლიმპიადებში და კონფერენციებში, საიდანაც სიგელებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან. ამ თემაზე შემდეგში მოგაწვდით ინფორმაციებს.

ჩვენი მიზანია, ვიყოთ ერთ-ერთი სანიმუშო საგანმანათლებლო- სასწავლო დაწესებულება და აღვზარდოთ წარმატებული და ღირსეული ახალგაზრდები, რომლებიც გამოადგებიან არამარტო ჩვენს სოფელს, არამედ მთელ საქართველოს.

გვჯერა, ასეც იქნება, რადგანაც ბატონი მერაბი სიტყვის კაცია – სიტყვისა და საქმისა.

მზია გოგოძე

ანა მაღრაძე

ჩემი სკოლა

ხმაურია, გამოცოცხლდა,
ზარ-ზეიმის ხმა ისმის.
მზემ სხივებით აიტაცა
პატარების ხალისი
ცეკვავს ქარი, შრიალებენ
სკოლის კართან ვერხვები.
მთაწმინდიდან თითქოს სიოს
მოაქვს ბოხჩით ლექსები.
გააღვიძეს ვაჟა, შოთა
ბრძენთა ბრძენი ილია.
თაობები ამ სიბრძნეზე
მრავლად გამოზრდილია
განახლებულ სკოლის ეზოს
შვენის ვარსკვლავთ ფერები.
მიხარია, რომ ჩემს სკოლას
კიდევ მოვეფერები.

ტარიელ მუმლაძე

პირველკლასელებს

დედაენა – სიბრძნის წიგნი
ბევრ სიკეთეს გპირდება.
მას ყოველთვის დედასავით
მოფერება სჭირდება.
შესწევს ძალა, წაგიკიდოს
სიყვარულის ალმური
და წვეთ-წვეთად ჩაგაწვეთოს
სიტკბო შენი მამულის.
დედაენა – შვების წყარო
წარსულს ახლით ამთელებს,
ამ განძს თუ არ გაუფრთხილდი,
ისე ვერ იქართველებ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

დაიწყო ახალი სასწავლო წელი და საჯარო სკოლები ჩვეულ რიტმს დაუბრუნდნენ. თბილისის, **მიხეილ გრუშევსკის სახელობის 41-ე საჯარო სკოლაში** ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მოსწავლეები ცოდნის სამყაროს ეზიარონ და მაღალი განათლება მიიღონ. აქ, პედაგოგები მაღალი დონის პროფესიონალები არიან და ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა მოსწავლეებს შესაბამისი ცოდნა გადასცენ.

სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობა სასიამოვნო ატმოსფერო და წესრიგი. ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და სკოლა აღჭურვილია თანამედროვე სასკოლო ინვენტარით.

41-ე სკოლის დირექტორი გახლავთ გამოცდილი პედაგოგი და შესანიშნავი მენეჯერი **რევაზ ჯავახიშვილი**. ბატონი რევაზი დიდი ხანია განათლების სფეროში მოღვაწეობს, გავლილი აქვს ყველა საფეხური და აქვს საკმაოდ მდიდარი ბიოგრაფია. წლების განმავლობაში იყო სხვადასხვა სკოლის დირექტორი. კოლეგები მას ახასიათებენ, როგორც კარგ სპეციალისტს და შესანიშნავ პიროვნებას.

სკოლაში განხორციელებულ ცვლილებებზე, ახალ სასწავლო წელსა და სამომავლო გეგმებზე თავად დირექტორი გვესაუბრება.

სიახლეები თბილისის 41-ე საჯარო სკოლაში

თავდადებული შრომა – წარმატების საიდუმლო

რევაზ ჯავახიშვილი: ჩვენი სკოლა მომზადებული შეხვდა ახალ სასწავლო წელს და ჩვენს პედაგოგებთან ერთად მზად ვართ იმისთვის, რომ მოსწავლეებმა კარგი განათლება მიიღონ.

ამ შენობაში ადრე 56-ე ქართულ-რუსული სკოლა იყო. რეორგანიზაციის შედეგად, ორივე სექტორი გაერთიანდა და მას 41-ე უკრაინული სკოლაც შეუერთდა. ამჟამად, ქართული სკოლაა და უკრაინული ისწავლება, როგორც ერთ-ერთი უცხო ენა. ასე რომ, სკოლაში დიდი სიახლეები განხორციელდა.

სკოლაში ბავშვთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. მსურველები ბევრია, თუმცა, შენობა უფრო მეტი მოსწავლის მიღების საშუალებას არ გვაძლევს. ამჟამად, 3 პირველი კლასია. ასევე, ფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასი – აუტისტური აშლილობის სპექტრის მოსწავლეებისათვის. გვაქვს რესურს ოთახიც.

სკოლაში მოსწავლეები ფორმას ატარებენ და არიან ძალიან მოწესრიგებულები. აქ მკაცრად კონტროლდება დაგვიანება და გაცდენა.

განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ჩვენ უკვე მეორე კლასიდან ვთავაზობთ მოსწავლეებს რუსული ან უკრაინული ენის შესწავლას. პირველ კლასში დამატებული გვაქვს ინგლისური ენის საათებიც...

რეპეტიტორის ინსტიტუტის აღმოფხვრის მიზნით, მე-11კლასში დავამატეთ ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია და ბიოლოგია, ხოლო მე-12-ში ქართული, უცხო ენა ისტორია და მათემატიკა.

ამჟამად, ველოდებით განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას, რათა გრანტების მეთოდოლოგიით მოხდეს სკოლაში თავისუფალი გაკვეთილების ჩატარება, რაც მოტივაციას გაუზრდის მასწავლებელსაც და მოსწავლესაც.

სამეურვეო საბჭოს არჩევნებს რაც შეეხება, ახალიკანონმდებლობის მიხედვით, განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას ველოდებით. ეს ფაქტიც ადასტურებს იმას, რომ სკოლის ადმინისტრაცია არ ერევა თვითმმართველობის გადაწყვეტილებებში.

41-ე საჯარო სკოლაში სულ 37 მასწავლებელია. საამაყოა ის ფაქტი, რომ სკოლის პედაგოგებმა, წარმატებით გაიარეს მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდები და ჩართულები არიან სქემაში და კრედიტ-ქულების მოსაპოვებლად.

სკოლაში სულ 7 კათედრაა. ქართულ ენას და ლიტერატურას ხელმძღვანელობს — **თამარ სარალიძე**, მათემატიკას და ინფორმატიკას (ისტი-ს) — **ლელა ანჯაფარიძე**, უცხო ენებს (რუსულს, ინგლისურს, უკრაინულს) — **თამარ ხვედელიძე**, საზოგადოებრივს — **მზია ნადირაძე**, საბუნებისმეტყველოს — **ლელა ოკუჯავა**, ესთეტიკას — **მარინე მარგველაშვილი** და დაწყებითებს - **შორენა თოფურია**.

საინტერესოდ მუსაობენ სხვადასხვა წრეები, ტარდება კონფერენციები, სხვადასხვა ღონისძიებები. გვყავს წარჩინებული და ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეები.

ჩვენმა ორმა ოქროს მედალოსანმა **დიმა აგეევმა** და **ლიზა წოწორიამ** უმაღლეს სასწავლებლებში ასპროცენტიანი გრანტი მოიპოვეს.

მალე 41-ე საჯარო სკოლას მოწინავე რიგებში ვიხილავთ.

P.S. გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია წარმატებებს, ახალ გამარჯვებებს უსურვებს სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს.

მზია გოგოძე

წერა-კითხვა ხომ არ გავიწყდებათ?

ინდაურივით თავშეყოფილი შვილიშვილები ვერ მოვაშორე კომპიუტერს. პატარები კიარა, ჭარმაგებიც კი გადარია ცივილიზაციის ამ მონაპოვარმა, მის ჯანმრთელობას დაემუქრა, იოლად ფონს გასვლის სენი შეჰყარა, ლამის წიგნი და კალამი ხელიდან გააგდებინოს, ნარკოტიკივით შეიჩვია. ამას მე კი არა, ექიმები და ფსიქოლოგები მეცნიერულად ამტკიცებენ. წიგნი რომ წაიკითხო და ცოდნა შეიძინო, ამას შრომა უნდა, ენერგიის დაძაბვა, ტვინის შეწუხება. კაცის ბუნება ასეთია: ყველაფრის იოლად მიღწევა უნდა, ოფლის დაუღვრელად.

დღეს იდიოტი უნდა იყო, კომპიუტერის მნიშვნელობა-სარგებლიანობას არ აფასებდე, მაგრამ მედალს ხომ მეორე მხარეც აქვს? მაშ, რა ვქნათ? სად ვეძებოთ გამოსავალი? ფსიქოლოგების აზრით, კომპიუტერით და მობილურით უსაზღვრო გატაცება (სულ ერთია, მოზარდი იქნება თუ ზრდასრული), პიროვნებას ერთგვარად ცლის ემოციებიდან. მოდით, ასე დავსვათ კითხვა: ამაღლდა თუ არა სწავლის, შეთვისებული ცოდნის დონე და ხარისხი, მას შემდეგ, რაც ცხოვრებაში ასე უმძლავრესად შემოიჭრა კომპიუტერი? მოსწავლე, სტუდენტი გადაეჩვია დამოუკიდებელ აზროვნებას. რაზე შეიწუხოს თავი, როცა აგერ შეყოფს თავს და იოლად მიიღებს რა და რა გინდა ინფორმაციას. ამიტომ, რატომ შეიწუხებს თავს მოსწავლე, სტუდენტი წერით, კონსპექტების შედგენით, არ ჯობია, შევყოფ თავს ინდაურივით, იმდენ ინფორმაციას მივიღებ, რომ, მაგრამ იმ ზღვა ინფორმაციის ათვისება არ გინდა?

თანდათან გადაეჩვია მოზარდი წიგნის ხელში აღებას. რამდენიმე პოეტს ვიცნობ, „ჯღაბნა მეზარებაო“ ამბობს და პირდაპირ კომპიუტერით ააწყობს მუზის ნაყოფს. ხალხური სიბრძნე, გაგვიგონია: „ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო“, ე. ი. ადვილად შესწავლილი, ადვილად გავიწყდება. ფსიქოლოგები ამბობენ: „რაც მეტი გრძნობათა ორგანო მონაწილეობს აღქმაში, მით მეტია შთაბეჭდილებათა კვალი (დამახსოვრება) ჩვენს ცნობიერებაში“.

თუ შენ წიგნს იშვიათად წაიკითხავ, თუ შენ იშვიათად დაწერ რამეს, შეუმჩნევლად ორივეს გადაეჩვევი.

ამას წინათ, საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ ძალზე საჭირო გადაცემა შემოგვთვაზა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახენებთ, მოწვეული ჰყავდათ ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებმაც განგაშის ზარი შემოკრეს ქართული ასოების მართლწერას, კალიგრაფიას საფრთხე შეექმნაო. ექვსი წლის ლუკას წერას ასწავლიდნენ, ვერ სწავლობდა. ვინც წერა იცის, ჯღაბნის. კონსტანტინე გამსახურდია კი ნახატივით ლამაზ ქართულ ასოებს ეალერსებოდა: „ანი ნამგალს ჰგავსო, ბანი — ყელწერწეტა დოქს“. მაშ, რა ვქნათ? რა და, ბოროტად ნუ ვისარგებლებთ (განსაკუთრებით ბავშვები) კომპიუტერით, თორემ თავად გავხდებით მისი მსხვერპლი. რომში ერთ-ერთი საფლავის ქვას აწერიაგ „იგი ჭამდა და სხვამდა ზომიერად“ და სწორედ იმ კაცმა 120 წელი იცოცხლა. „მეტის მეტი — ბრეტის ბრეტი, ასე უთქვამთ ძველებს“. კალმახზე უფრო მარგებელი თევზო, აბა რომელია? მაგრამ ზომაზე გაცილებით მეტს რომ მიაძღა ლუარსაბი, „დაემართა კუჭის ანთება და ჩაბარდა პატრონს“.

კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნს, წერა-კითხვას. იგი სწავლების უმაღლესი დონის ტექნიკური, დამხმარე საშუალებაა.

ექვსი წლის წიწილასავით შეუბმუმბლავ პირველკლასელს ნუ მივაჩეჩებთ კომპიუტერს. მოდით, მისი გამოყენება მეოთხე კლასიდან დავაწყებინოთ. მკითხელო, ამ პრობლემაზე შეიძლება დუმილი? მოდით, თქვენი მოსაზრება გაგვიზიარეთ!

რედაქტორი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი – ასურეთის საჯარო სკოლა – 100

სოფლის მშვენება და სიამაყე

ასურეთი უძველესი და ულამაზესი სოფელია საქართველოში. გასული საუკუნის 30-იან წლებში ამ მდიდარ, გამრჯე ადამიანებით დასახლებულ სოფელზე დიდი მწერალი **მიხეილ ჯავახიშვილი** რომანის დაწერას აპირებდა. ასი წლის სკოლა ამშვენებს სოფელს. დიდხანს იგი გერმანული სკოლით იყო ცნობილი. 70 წელზე მეტია ჯერ საშუალო და შემდეგ საჯარო სკოლის სახელს ატარებს.

ჰოდა, ამ სახელოვან ცოდნის ტაძარს სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ვესტუმრე. „აქეთ წადით, მარცხნივ მოუხვიეო“, – მიმასწავლეს გზა, როგორც ეს ფილმ „ჭრიჭინაშია“. შემხვედრებთან საუბრისას იგრძნობოდა, რომ განათლების ეს კერა ყველა სოფლელს ძალიან უყვარს. წინა დღით ღვაწლმოსილი პედაგოგი **ჩარლი მეტრეველი** გააცილეს მარადისობის საბინადროში. მთელმა სოფელმა მოიყარა თავი გასვენებაში.

გზადმიმავალს, ვინც დამემგზავრა, ყველამ სიყვარული გამოხატა დირექტორისა და პედაგოგების მიმართ. ერთმა მათგანმა სკოლის ჭიშკრამდე მიმაცილა და სულ მასწავლებლების და დირექტორის ქებაში იყო.

ახალი სასწავლო წლისთვის კარგად მომზადებულან. ეს აშკარად შევნიშნეთ სკოლის იერ-სახისა და ინფრასტრუქტურის ხილვისას. პედაგოგები სტუმართმოყვრულად მხვდებიან. ყველაფერი ეს სასწავლო განწყობილებას ქმნის. სიფაქიზე-სიმშვიდე დავანებულა. აი, გამობრძმედილი, ერუდირებული ხელმძღვანელი სკოლისა, დედაუნივერსიტეტის აღზრდილი, აქტიური შემოქმედი **ნანი გორდეზიანი**. იგი ჩინებული პედაგოგია მათემატიკისა, მაგრამ ბევრ ფილოლოგს ტოლს არ დაუდებს. ამავე დროს, საკუთარი ხმის პოეტიც გახლავთ. სულ ამ სკოლაში მოღვაწეობს. აქედან არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი. 12 წელია სკოლის დირექტორია.

– სანიმუშოდ მოვემზადეთ ახალი სასწავლო წლისთვის, პედკოლექტივთან ერთად ბევრი წარმატება გვაქვს. – მადლობა მთავრობას, მუნიციპალიტეტს. გამოგვიცვალეს სკოლის სახურავი, გაგვირემონტეს სპორტული დარბაზი, მოგვიწესრიგეს სველი წერტილები. ვამაყობ ძლიერი პედაგოგებით, 20 მასწავლებლიდან 7 სერთიფიცირებულია. აი, ისინი: **ქეთევან მიქიაშვილი**, **თამარ ტოგონიძე** (ღირსების ორდენოსანი), **მედეა წერეთელი**, **მანანა წულუკიძე**, **მაგული კაციტაძე**, **თამარ ზაზაძე** და მე, – განაცხადა ჩვენთან საუბარში დირექტორმა.

დირექტორს მხარში ერთგულად უდგას მოადგილე, გამოცდილი მასწავლებელი მათემატიკისა **ნინო ენუქიძე**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეა სკოლაზე დიდად მზრუნველი მშობელი **ხათუნა გუგეშაშვილი**.

სწავლების მაღალი ხარისხი პირდაპირ-პროპორციულია საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობისა. შემოქმედი პედაგოგები უძღვებიან კათედრებს: მშობლიურ ენა-ლიტერატურას – **თამარ ტოგონიძე**, უცხოური ენებისას – **ქეთევან მიქიაშვილი**, საბუნებისმეტყველოს — **მანანა წულუკიძე**, საზმცოდნეობისას — **მედეა წერეთელი**, ესთეტიკურს — **მარინე გოცირიძე**, დაწყებითი განათლებისას — **მარინე ბუაძე**.

გოცირიძის აღსაზრდელებმა სიგელი დაიმსახურეს. ბიოლოგიის მასწავლებელ **მანანა წულუკიძის** მოსწავლეები ატარებენ აქციას **„ბაღის ფრინველთა საათი“**. ამ კუთხით მიღწეული წარმატებისთვის სკოლას გადაეცა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სერთიფიკატი. ბავშვებთან ეფექტიან აღმზრდელობით მუშაობას ეწევიან კლასის ხელმძღვანელები.

ემოციურ, წარმატებულ ღონისძიებებს ატარებს ჩინებული პედაგოგი ქართულისა **თამარ ტოგონიძე**, ლიტერატურულ პროექტში **„ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“** მონაწილე მოსწავლეები ღრმად წვდებიან პოემის მხატვრულ სამყაროს და იფართოებენ ლიტერატურულ თვალსაწიერს. სკოლაში აღმოფხვრილია არასაპატიო გაცდენები, მიღწეულია ასპროცენტიანი დასწრება გაკვეთილებზე.

ნაყოფიერად ემსახურება პედაგოგებსა და მოსწავლეებს მდიდარი სასკოლო ბიბლიოთეკა, რომელსაც უნარიანად განაგებს გამოცდილი ბიბლიოთეკარი **ნინო კაციტაძე**.

– ჩვენი მიზანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა, სწავლების ხარისხის ამაღლება. ჩვენი პედაგოგები ორიენტირებულნი არიან მაღალ შედეგებზე. ამ მიზანს უთუოდ მივაღწევთ, – განაცხადა საუბრის დასასრულს **ნანი გორდეზიანმა**. დარწმუნებული ვართ, ეს ასეც იქნება.

გილოცავთ ახალ სასწავლო წელს, ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, ასურეთელო მოსწავლეებიო და პედაგოგებო!

ბორის ხარებავა

შარშან ათმა მოსწავლემ დაამთავრა სკოლა და შვიდი სტუდენტი გახდა. 100%-იანი გრანტი მოიპოვა **თამარ მიქიაშვილმა**.

თვალსაჩინო მიღწევებია მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში. ბლომად არიან ოლიმპიადებში, კონკურსებში, კონფერენციებში გამარჯვებულნი, რაც უთუოდ პედაგოგთა კარგი მუშაობის შედეგია. ყველას ვინ ჩამოთვლის, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი უთუოდ უნდა აღინიშნოს.

ქეთევან მიქიაშვილი (გერმანული ენის პედაგოგი): ქალაქ ჰამბურგის ერთ-ერთი გიმნაზიისა და თბილისის 21-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად პროექტის ფარგლებში რესტავრაცია ჩავუტარეთ გერმანელი კოლონისტების საფლავებს. ასურეთელმა მოსწავლეებმა საზეიმო კონცერტით ღირსეული მასპინძლობა გაუწიეს სტუმრებს. წაიკითხეს ქართულ და გერმანულ ენაზე ლექსები, ჟღერდა ქართული და გერმანული სიმღერები. სკოლას სტუმრობდა გერმანელი პროდიუსერი **ფრიდჰელმ ბრუნერი** ფილმით, „რწმენის აღორძინება“. სტუმარმა სკოლას ფულადი საჩუქარი გადასცა. საინტერესოდ მუშაობს გერმანული ენის კლუბი, რომლის აქტიური წევრები არიან: **ს. სირაძე**, **მ. ბერიშვილი**, **ლ. თევდორაძე**, **მ. ჭელი**ძე, **ნ. ბუაძე** და სხვები.

როგორც ზემოთ ვთქვით, სკოლას ჰყავს საამაყო, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული მოსწავლეები. „სამოქალაქო განათლებაში“ თავი ისახელა **ნიკა დავითაშვილმა** (XII კლასი, პედაგოგი **მედეა წერეთელი**), ფიზიკის დარგში **მარიამ ბაბლიძემ** (XI კლასი), რესპუბლიკურ კონფერენციაზე საინტერესო თემა დაამუშავა და **„აკადემიის სიგელი“** დაიმსახურა (პედაგოგი **ელენე ავეტისოვა**). განათლების სამინისტროს კონკურსში „ოკუპაციის თემაზე“, სკოლამ წარადგინა მოსწავლეთა ნაშრომი „ამბროსი ხელაიას ცხოვრება“ და მეორეჯერ I ადგილი მოიპოვა.

ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმი დღეს

ცოდნისა და ზნეობის ზეიმი

ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმები, ახალ სასწავლო წელს განსაკუთრებული სიხარულით შეხვდნენ, რადგან სასწავლებლის ასი კურსდამთავრებული უმაღლეს სასწავლებელში მაღალი შეფასებებით ჩაირიცხა.

14 სექტემბერს, აქ საზეიმო განწყობილება სუფევდა. მოსწავლეებს და პედაგოგებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა ლიცეუმის დირექტორმა **ია ბაგრატიონ-მუხრანელმა**, ბავშვები დალოცა და წარმატებები უსურვა **მამა ალექსანდრემ**. მოსწავლეებს ასევე მიესალმნენ საქართველოს თავად-აზნაურთა დარბაზის ხელმძღვანელი **ვაჟა აბაშიძე**, ამერიკაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენელი **სალომე მელიქიშვილი**, თავად-აზნაურთა საკრებულოს ვიცე-წინამძღოლი **შოთა ჩხეიძე,** ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **სერგო ვარდოსანიძე** და სხვები.

ღონისძიებაზე ქალბატონმა იამ წარმატებული მოსწავლეები: **საბა ხიმშიაშვილი**, **მარიამ მგელაძე** და სხვები დააჯილდოვა, მათ

დირექტორი ძალ ღონეს არ იშურებს იმისათვის, რათა ლიცეუმი იყოს ერთ-ერთი წარმატებული სასწავლო დაწესებულება. მას თითოეულ ლიციანტთან განსაკუთრებულად თბილი და მეგობრული დამოკიდებულება აქვს, განსაკუთრებულ შეღავათს უწევს მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ და დევნილთა ოჯახის შვილებს. ასევე ირჯებიან დირექტორის მოადგილეები: **გიორგი ჩხიკვიშვილი** და **ზაზა ჩიქოვანი**.

დირექტორმა განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნა, რომ ლიცეუმის მე-11 კლასის მოსწავლის **საბა ხიმშიაშვილის** მიერ დაწერილმა ესსემ „იყიდება საქართველო“, განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა და იგი გამოქვეყნდა ალმანახში.

აღსანიშნავია, რომ ლიცეუმში მაღალი რანგის პროფესიონალი პედაგოგები მოზარდებს უღვივებენ ლტოლვას კითხვისადმი, აცნობენ ქართული კულტურის, ისტორიის უნიკალურ მიღწევებს. მართალია, ლიცეუმს საკუთარი შენობა არა აქვს, მაგრამ ეს სწავლის ხარისხს დაბლა არ სწევს. რომ მოზარდებმა კარგი განათლება მიიღონ. ლიცეუმი არის ბავშვებისთვის პატარა ოაზისი, ცოდნის, რწმენისა და ზნეობის ტაძარი. გვინდა რომ აღვზარდოთ მომავალი ჯანსაღი და განათლებული თაობა, რომელიც საქართველოს მოუვლის და სწორი გზით წაიყვანს, განაგრძობს საუკეთესო ტრადიციებს და გაუფრთხილდება ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს.

მზია გოგოძე

გადასცა საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს ალმანახი „სამეფო“. ზეიმი დასრულდა ლიცეუმის ჩინებული მგალობელთა გუნდის მიერ შესრულებული გალობით, რომლის ხელმძღვანელია **ბექა ხუციშვილი**.

– „რწმენა, ოჯახი, სკოლა და წარმატებული მოსწავლე“ — ასეთი გახლავთ დევიზი ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმისა, რომელიც გამორჩეულია დედაქალაქში არსებულ სასწავლო დაწესებულებებს შორის. იგი ზრუნავს არამარტო განათლებაზე, არამედ მოზარდების პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბებაზე.

საგულისხმოა, რომ ლიცეუმი დაარსდა კათოლიკოს-პატრიარქის ილია || -ის ლოცვა კურთხევითა და პატრონაჟით. იგი, უკვე ათი წელიწადია ფუნქციონირებს და ლიციანტები ყოველთვის წარმატებით აბარებენ საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. გაძლიერებულად ისწავლება ინგლისური და რუსული ენები.

სიახლეა, რომ 4-5 წლის აღსაზრდელთათვის გაიხსნა საბავშვო ბაღი — სკოლისათვის მოსამზადებელი პროგრამით.

სკოლა-ლიცეუმი გამოირჩევა იმითაც, რომ აქ მოზარდებს პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიან და მათ უღვივებენ ეროვნულ-ქრისტიანულ მრწამსს. მოსწავლეები გამოირჩევიან ქცევის კულტურით, ზრდილობით, არ ეწევიან სიგარეტს და მისდევენ ჯანსაღი ცხოვრების წესს. ლიციანტებს ჰყავთ მოძღვარი და ყოველ პარასკევს ტარდება ზეთისცხება და ბავშვების განწმენდის რიტუალი სულიერად და ზნეობრივად; აქ დამკვიდრებულია სახარების, კატეხიზმოს, „ვეფხისტყაოსნის'“ პროგრამები; ასევე, ისწავლება ეტიკეტი, ჭადრაკი, სამბო, კალიგრაფია, გალობა და ქართული ცეკვა. ლიცეუმში 1-6 კლასის მოსწავლეებისთვის, წლიურ გადასახადში შედის კვება, გაკვეთილების მომზადება. ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფი.

როგორც ქალბატონმა იამ აღნიშნა: აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის,

ყველაფრისმცოდნეები

ნეტავი ვიცოდე, რომელ უნივერსიტეტში არსებობს ყველაფრისმცოდნეობის ფაკულტეტი? არადა, ამ ფაკულტეტდამთავრებულებს ზოგს ეკრანიდან ვიცნობ, ზოგს – პირადად. ზოგი კი არა, ღმერთმანი, ბევრნი არიან. მათ რომ ვუსმენთ (მხოლოდ ვუსმენთ, თორემ მათ რაიმე ღირებულ ნააზრევს წიგნებში, ჟურნალ-გაზეთებში მისხალსაც ვერ იპოვით), უნებურად ვფიქრობთ: ამ პიროვნებას შვიდი ან რვა ფაკულტეტი მაინც ერთდროულად ექნება დამთავრებულიო. პარლამენტი გინდა, აქცია გინდა, ბრიფინგი გინდა, მაშინვე გამოხტებიან მეცამეტე გოჭივით და ყველაფერზე **„ავტორიტეტულ აზრებს“** აფრქვევენ. გაგიხარიათ, ზოგიერთი ყველაფრის ექსპერტია, როცა უნდა, პოლიტოლოგია, როცა უნდა, ფსიქოლოგია, როცა უნდა, ისტორიკოსია, ფიზიკაც იცის, ქიმიაც, ეკოლოგიაც, დიპლომატიაც, სამართალიც, მედიცინაც, სოფლის მეურნეობაც, ჟურნალისტი ხომ არის და არის, ყველას ედავება, **„ჭკუას ასწავლის“**, ყველაფერში კვალიფიციურია, **გარდა იმ პროფესიისა, რაც დიპლომში უწერია**. ასეთები თითქმის ყველა პარტიას ჰყავს.

ხალხში ხუმრობენ: კენჭი (ქვა მტრისას) რომ ააგდო, ან პოლიტოლოგს მოხვდება თავში, ან – ექსპერტსო.

თქვენი ნებართვით, მკითხველო, ერთ-ერთ მათგანს **შვიდ ბრუნვაში** წარმოგიდგენთ.

ეს კაცი „მარადმწვანე“ პარლამენტარია, **ამ კაცმა** უნივერსიტეტში ფილოლოგიის დიპლომი აიღო. **ამ კაცს** თავის პროფესიაში კომპეტენტური აზრი არასოდეს გამოუთქვამს: არც – სამეცნიერო კონფერენციებზე, არც – წიგნებში, არც – ჟურნალ-გაზეთებში. სამაგიეროდ, სიტყვით მშვენივრად გამოდის, ორატორული ნიჭი მოსდგამს, ენას მათრახივით ატყლაშუნებს. ყველგან ცხვირს ყოფს. ვიღაცის საამებლად ვიღაცას აკრიტიკებს. ტელევიზიის ყუთში ხშირად არის გაჩხერილი, ლამის იქიდან გადმოვარდეს.

ამ კაცის გაკეთებული საქმე, როცა იგი პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტს უძღვებოდა არავის უნახავს – არცერთი პრობლემის განხილვის ინიციატივით არ შესულა პარლამენტში. **ამ კაცით** პარლამენტი ვერ იამაყებს.

ამ კაცად მომეჩვენა ტელეეკრანზე სხვა, ზუსტად მისი მსგავსი ჩამრგვალებული პარლამენტარი. **შე კაცო**, ამდენს რატომ მატრაბაზობ?

– მოსე შეჩვენებულო, რაღა მე ჩამავლე ხელი? **„სხვაც მრავალია ჩემფერაო“**, – გაბრაზდა ეს ყველაფრისმცოდნე.

– იმად ჩაგავლე რომა, ისინი შენა გგვანან და იმათ – შენაო.

ნეტარ არიან მორწმუნენი, რომელთაც სჯერათ ასეთი ყველაფრისმცოდნეებისა!

მაგრამ რაჭველებს ხომ ეკუთვნით ასეთი ბრწყინვალე შეგონება: **„პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო“**, რას ერჩით „კომუნისტურ“ სკოლებს, თუ ასეთ ყველაფრისმცოდნეებს ზრდიდა?

მუსიკალური აღზრდის გამორჩეული კერა

აქედან ჭალანჭები აფრინდებიან

გასულ საუკუნეში, 1973 წელს განათლების სამინისტროს ბაზაზე დაბა ზაჰესში გაიხსნა სამუსიკო სტუდია.

1977 წელს შეიცვალა სტუდიის ხელმძღვანელობა და სტუდიას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა, ენერგიული და ენთუზიაზმით სავსე ქალბატონი **მარინე არაგვიშვილი,** რომელიც თითქმის 40 წელიწადია უცვლელად, წარმატებულად ხელმძღვანელობს სკოლას.

1979 წელს ზაჰესის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ახალგაზრდა დირექტორის ძალისხმევით მუსიკალური სტუდიის ბაზაზე გაიხსნა მუსიკალური სკოლა. სკოლამ

თანდათან მოიზიდა ქალაქიდან საუკეთესო სპეციალისტები ისეთები, როგორიცაა: **ლ. ბეჟანიშვილი** (ამჟამად სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე).

ეს პედაგოგები დღესაც ნაყოფიერად მუშაობენ ამ სკოლაში. ეს კი აისახება ყველა იმ ღონისძიებაზე, რომლებშიც მათი მოსწავლეები ღებულობენ მონაწილეობას. მცხეთის რაიონში რაც კი ღონისძიებები ტარდებოდა, ეს სკოლა უკლებლივ ყველაში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას. გასვლითი კონცერტების სახით, მცხეთის რაიონის კულტურის სახლში. ჩატარებული ღონისძიებებისთვის სკოლას და მისი კოლექტივის წევრებს მიღებული აქვთ უამრავი მადლობა, სიგელი. მათ საქმიანობაზე გამოქვეყნებულია დადებითი საგაზეთო სტატიები.

დუშეთში ჩატარდა მცხეთა-მთიანეთის რაიონის პირველი ფოლკლორული ფესტივალი, რომლის ორგანიზატორი იყო ცნობილი მუსიკოსი **გ. უშიკიშვილი**. ფესტივალში მონაწილეობდა სკოლის პედაგოგთა ანსამბლი **ლ. ბეჟანიშვილის**, **ნ. ბურდიაშვილის**, **ი. ყველაშვილის** შემადგენლობით. ღირსეული შრომა დაუფასდა მთავრობისაგან ქალბატონ **მარინე არაგვიშვილს** და იგი 2004 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. როდესაც სკოლას დაარსებიდან 25 წელი შეუსრულდა, მას მიენიჭა დიდი ქართველი მომღერლის **ზურაბ ანჯაფარიძის** სახელი, მაშინ სკოლაზე მზრუნველობა აღებული ჰქონდა საქენერგო-რემონტის ქარხანას, რომლის გენერალური დირექტორი ბრძანდებოდა ბატონი **გ. მაყაშვილი**. ქალბატონი **მარინე არაგვიშვილის** ძალისხმევით და საქენერგოს მინისტრის **იური ჭედიას** და ბატონი **გოგი მაყაშვილის** კეთილი ნებით სკოლა კეთილმოეწყო.

2008 წელს N5 სამუსიკო სკოლის ბაზაზე დაფუძნდა დაბა ზაჰესის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N5 ხელოვნების სკოლა. გაიხსნა რამდენიმე ახალი განყოფილება: **ქორეოგრაფიული, საესტრადო**, **სახვითი ხელოვნება**, **ხალხური საკრავები (დოლი, ფანდური)**, **თეატრალური**. შემოემატნენ ახალი მასწავლებლები: **ზაზა. ბრეგვაძე**, **გიორგი ალიმბარაშვილი**, **სალომე სიხარულიძე**, **ირმა მანია**, **მანანა ტატიშვილი**, **თამაზ ალიმბარაშვილი**, **მანანა მასურაშვილი**, **მარიკა გაბაშვილი**, **თამარ გუგუშვილი**, **თ. არაგვიშვილი**, **გ. მამაი**, **მ. ამირეჯიბი**, **მ. ბეჟანიშვილი**.

ასევე, 2009 წლიდან „საქართველოს კარიტასის“ დღის ცენტრის დირექტორის **დ. ყარყარაშვილის** მოთხოვნით ხე-

▶▶ *გაგრძელება მე — 6 გვ.*

▶▶ მე-5 გვერდიდან

ლოვნების სკოლა თანამშრომლობს მათ ბენეფიციარებთან.

სკოლამ მოღვაწეობა დაიწყო 15 მოსწავლიდან. დღეს კი სკოლაში სწავლობს 240-ზე მეტი მოსწავლე. ზაჰესის სამუსიკო სკოლის ბევრმა კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელა სამუსიკო სასწავლებლებში და შემდგომ პედაგოგიურ ინსტიტუტებსა თუ კონსერვატორიაში. მათ შორის იყვენენ: **ხათუნა კეკიშვილი** (საგუნდო-სადირიჟორო), **ხათუნა კაპანაძე** (საფორტეპიანო), **შორენა აბაზაშვილი** (ვოკალური), **ლანა ეზუგბაია** (საფორტეპიანო და ვოკალი), **ნათია რუსიტაშვილი** (საგუნდო და ვოკალი), **სოფიკო გრიგალაშვილი** (საგუნდო), **ლანა უნდილაშვილი** (თეორიული), **ნატალია ოკუნევა** (თეორიული), **ქეთევან ოსეფაშვილი** (თეორიული განხრით კონსერვატორიისა და ბერლინის უნივერსიტეტში), **თეონა ჭიტაძე** (საფორტეპიანო), **ნანა გოგოლ**აძე, **ია თაფლაშილი** და **ირმა ირემაშვ**ილი. ჩამოთვლილთაგან **ხ. კეკიშვილი** ამჟამად ქსნის სამუსიკო სკოლის დირექტორია, **სოფიკო გრიგალაშვილი** საბავშვო ბაღის მუსიკის აღმზრდელია, **ნათია რუსიტაშვილი** საბავშვო ბაღის აღმზრდელი და საეკლესიო მგალობელთა გუნდის მომღერალია.

დღეს გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწალეები, რომლესაც აფინანსებს ქ. თბილისის მერია.

ისინი არიან: **მარიამ შატვერო**ვი, **ალექსანდრე ბორისო**ვი, **ქეთევან სადღობელაშვ**ილი, **ნინო მეტრეველ**ი, **მარიამ ლორთქიფა**ნიძე, **ელენე ებანოი**ძე, **მარიამ ტალახა**ძე, **ნინო ნინოშვ**ილი.

სასკოლო რეპერტუარში სავალდებულოა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების შესწავლა-შესრულება, მუსიკის ისტორიაში-მათი ბიოგრაფიების და შემოქმედების გაცნობა, საგან – „ხალხური შემოქმედების“ შესწავლა.

ხელოვნების სკოლაში ფუნქციონირებს-ქართულ ხალხური საკრავთა განყოფილება: დოლი – მასწ. **თამაზ ალიმბარაშ**ილი, ფანდური – **მანანა ტატიშვილი**, ქართული ცეკვის შემსწავლელი განყოფილება, ქართული ცეკვის ანსამბლები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ყველა სასკოლო, საქალაქო ღონისძიებაში და ასევე საერთაშორისო ფესტივალებში, არიან მრავალი დიპლომის, პრიზის და გრანპრის მფლობელები (ხელმძღვანებლები **მ. ტატიშვილი** – ხალხური საკრავები, **ზ. ბრეგვაძე**, **მ ამირეჯები**, – ანსამბლი **„არმაზი“**, **გ. ალიმბარაშვილი** – ანსამბლი **„ივერიელი“**). აღსანიშნავია, ასევე საესტრადო განყოფილების პედაგოგების მუშაობა ამ მხრივ. ძირითადად მუშაობენ ქართულ საბავშვო, თუ პოპულარულ ნაწარმოებებზე და ასევე ხალხურ სიმღერებზე და საგალობლებზე. (მასწავლებლები: **ლ. ბეჟანიშვილი**, **მ. ბეჟანიშვილი**, **თ. გუგუშვილი** და **მ. გაბაშვილი**).

სამუსიკო სკოლის არესებობის მანძილზე მრავალი ლამაზი ღონისძიებაა ჩატარებულა. დაუვიწყარი იყო მოსწავლეთა და პედაგოგთათვის „შეხვედრა-კონცერტი“ კომპოზიტორ **მერი დავითაშვილთან**, პიანისტ **რომა გორელაშვილთან**, „კონცერტი საღამო“ **ზ. ანჯაფარიძის** მეუღლესთან და მის ვაჟთან.

ხელოვნების სკოლაში ხშირად ტარდება საინტერესო ღონისძიებები, რომლებსაც ესწრებიან საპატიო სტუმრები, მათ შორის მერიის კულტურის განყოფილების წარმომადგენლები **შოთა მაღლაკელიძე**, **ია ქარდავა**, **ანა კომლაძე**, საკრებულოს წევრი – **სევდია უგრეხელიძე**.

2013 წელს საქალაქო ინტელექტუალურ ვიქტორინაში გამარჯვებულებს გადაეცათ ბრინჯაოს ლომი. ესენი არიან: **ნ. ბერდიაშვილი** – პედაგოგი **ნინო ბურდიაშვილი**, **ნ. მეტრეველი** – **ეთერ ტომარაძე**, **მ. შატვეროვი** – **გალინა მამაი**, **ნ. კირვალიძე**, პედ. **მარიამ გორდულაძე**, **რ. მაჭარაშილი**, პედ. **მანანა მასურაშვილი**.

2015 წლის გაზაფხულზე წარმატებით დაიდგა გ. ცაბაძის მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“ – დამდგმელი და მასწავლებელი **ლ. ბეჟანიშვილი**, კონცერტმეისტერი – **თ. გუგუშვილი**, ქორეოგრაფები – **მ. ამირეჯები**, **ს. სიხარულიძე**. მონაწილეობას ღებულობდნენ შემდეგი მოსწავლეები: **გვანცა დონღვანი**, **ლუკა ბულაცაშვილი**, **ბაგრატ გულიაშვილი**, **მარიამ შატბეროვი**, **მარიამ ლორთქიფანიძე**, **ნინო ბიწაძე**, **თათია დონღვანი**, **ნინი ჩოფიკაშვილი**, **გვანცა ლაბაძე**, **თეკლა კალატოზიშვილი**, **ანი პოპიაშვილი**, **ანი ჩოფიკაშვილი**, **ლუკა კვიჟინაძე**, **გაბრიელი ლაბაძე**, **გიორგი კვიჟინაძე**, **გოგა დონღვანი**, **გიგა დონღვანი**, **ალეკო ოლენიკი** და **ნიკოლოზ გუჯიაშვილი**.

საესტრადო განყოფილებაში დაჯილდოვდნენ: **ლუკა მულაცაშვილი** და **ბაგრატ გულიაშვილი**.

2016 წლის 8 ივნისს „არტ-ჰოლში“ წარმოდგენილი იყო მუსიკალური სპექტაკლი „შობიდან აღდგომამდე“. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: **ანა პურტოიანი**, **იზაბელა პაპიკიანი**, **მარიამ მახარაძე**, **მარიამ სამხარაძე**, **მარიამ კონწლიაშვილი**, **გიორგი კონწლიაშვილი**, **ლუკა ბულაცაშვილი**, **ლუკა კვიჟნაძე**, **გიორგი კვიჟინაძე**, **ანი პოპიაშვილი**, **თეონა კალაური**, **ქეთი მათურელი**. დამდგმელი – **მარიამ გაბაშვილი**, კონცერტმეისტერი – **თამარ გუგუშვილი**, ქორეოგრაფი – **მარინე ამირეჯ**იბი, **სალომე სიხარულიძე**.

2016 წლის 18-29 ივნისს ახალციხის საერთაშორისო ფესტივალში „მამაცი ბავშვები“ მონაწილეობდა ხალხურ საკრავთა ანსამბლი: **ლუკა კვიჟინაძე**, **გიორგი კვიჟინაძე**, **ივერი ყაბაშვილი**, **სანდრო ყაზაშვილი**, **ვახტანგ ჯღარკავა**, პედაგოგები: **მანანა ტატიშვილი**, ჯგუფის ლიდერი – **ლ. ბეჟანიშვილი** დაჯილდოვდნენ სპეციალური დიპლომებით.

1 ოქტომბერს საქართველოში ჩამობრძანდება რომის პაპი და ამ ღირსშესანიშნავ დღესთან დაკავშირებით ხელოვნების სკოლის მოსწავლეების, იკარიტარის და კამელელების ბენეფიციართა ერთობლივი კონცერტი გაიმართება.

5 ოქტომბერს №5 ხელოვნების სკოლის მოსწავლე **ლალი ბეჟანიშვილი** მონაწილეობას მიიღებს ხალხური საკრავების საერთაშორისო ფესტივალში.

მეტად პერსპექტიული მოსწავლეები არიან: **ლიზი ზარიძე**, **ლიზი ქარდავა**, **საბინა ისმაილოვა**, **ვოვა ძეწოშვილი**, **სალომე სიხარულიძის** აღსაზრდელები: **მაკა მეძრიშვილი**, **გივი არაბული**, **ირინე ილაძე**, **ამირან კილაძე**, **გია** და **ენძელა კუციები**, **მარი**, **ვერა** და **გია მელიქიძეები**, პედაგოგ **ირმა მანიას** მოსწავლეები სახვით ხელოვნებაში: **მაკა მეძრიშვილი**, **ნინო ქენქაძე**, **ელენე ხუციშვილი**, **გვანცა აბრამიშვილი**, **მარი ხუციშვილი**, **ელენე ავაზაშვილი**, **საბა კუპრეიშვილი**, **მარი ტყემალაძე**, **მარი კესარია** და სხვები.

ზაჰესის №5 სახელოვნებო სკოლა აღმავლობის გზაზეა. ვუსურვებთ მათ მორიგ გამარჯვებებს.

რომან მოსეშვილი

ცოტა ფავიხ უმრ-ფავი პოლიტიკოსოთ!

აფერუმ, მაგდა!

ნეტავ, იმ დღეს **„მაესტრო“** აღარ ჩამერთო! ამერიკულად შემაშფოთ-აღმაშფოთა ერთმა სარეკლამო ანონსმა: მალე ეკრანზე **მაგდა ანიკაშვილის** საავტორო პროექტის მიხედვით იხილავთ პოლემიკას თემაზე: **„გაიყიდოს თუ არა ქართული მიწა უცხოელებზეო“**. პროექტის ავტორმა, თითქოს მზითვად ჰქონდა გამოყოლილი, ყინჩად განაცხადა: **„უცხოელებზე ქართული მიწა უნდა გაიყიდოსო“**. ვა, კარტოფილია?!

ქვის გამხეთქი არგუმენტიც რომ გვქონდეს, ამისი გაფიქრებაც კი დიდი მკრეხელობაა, არა თუ სადისკუსიოდ გამოტანა. მერე ქართველები სად უნდა წავიდნენ? ასეთი პროექტი რამ მოგაფიქრებინათ, მაგდა? კონიუნქტურამ, თუ სხვა ზრახვებმა? დაგავიწყდათ, რომ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიიდან პარლამენტის წევრი იყავით? გეტყობათ, ქართულ სკოლაში არ გისწავლიათ, თორემ უთუოდ გეცოდინებოდათ: **მამულის დამცველ ქართველთა სისხლითა და ძველებით რომაა გაპოხიერებული თქვენგან გასაყიდად გამეტებული მიწა**. „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“, – ეს სიტყვებიც გეცოდინებოდათ. „და განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევნია აქ სიკვდილი“, – ესეც გეცოდინებოდათ.

***

ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲐᲠᲝᲓᲘᲐ

მიწა რა მიწა, ზეცა რა ზეცა,
ყველას გვეყოფა შენცა და მეცა.
სმენა რა სმენა, თუ კი გაქვს რწმენა,
დიდი განძია ცოდნის შეძენა.
როგორ გაჩუმდა და გაინაბა,
ვის უნდა, აბა, პრემია „საბა?“
რის ტუალეტი, რა ტუალეტი?
მხოლოდ მე ვარო ნაღდი პოეტი.
რატი რა რატი, „საბას“ მანდატით
იმ პოეტებში გახდა მარატი.

***

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ?

მლიქვნელობის დიდოსტატი, მგონი, არის ცაცია
წვერი ენგელსს მიუგავს, „ფილაფოზი“ კაცია.

***

ჩვენ აქ გვყავდა იურისტი განათლების მინისტრი,
განათლების მისაღებად გააგზავნეს ინგლისში.

***

ᲛᲘᲖᲔᲠᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲗ

ადვილად შეიძლება: ა) „როსინანტ“ ველოსიპედის რესპუბლიკის მოედნიდან აღება. ბ) დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება მის ყოფილ და კუთვნილ ადგილზე. გ) პირადობის მოწმობაში ეროვნებისა და მამის სახელის აღდგენა. ამაში ახლა ვინ გვიშლის ხელს?

***

რაიონს მუნიციპალიტეტი უწოდეს, ენის უცოდინრობის შედეგია. რაიონი გეორგაფიული სივრცეა, მუნიციპალიტეტი კი – ამ რაიონის თვითმმართველობა.

პოეტ–იურისტი
მოსე მწერალი

ნაძალადევში ახალი ბაგა-ბაღი გაიხსნა

არის, ასრულდა ოცნება!

ნაძალადევის რაიონში მანჯგალაძის ქუჩაზე წლების წინ დახურულ №25 საბავშვო ბაგა-ბაღში (ყოფილი რკინიგზის მე-3 ბაღი) სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განახლდა.

ახლადგახსნილი ბაღი თბილისის მერმა **დავით ნარმანიამ** საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილთან**, მერის მოადგილე **ნინა ხატისკაცთან** და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორთან **თემურ თორდინავასთან** ერთად დაათვალიერა. ღონისძიებას ესწრებოდა ნაძალადევის რაიონის გამგებელი **ზაზა გაბუნია**, ასევე, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

„დღეს გავხსენით მეოთხე ახალი საბავშვო ბაღი, რითაც 350 პატარას ვაჩუქეთ სიხარული. ეს არის აბსოლუტურად თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული ბაღი, სადაც პატარების ღირსეული აღზრდისთვის ყველანაირი პირობა არსებობს. ამით ჩვენ ვაგრძელებთ იმ ძალიან აქტუალურ პროგრამას, რასაც ჰქვია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა სულ უფრო მეტ უბანში“, – განაცხადა თბილისის მერმა.

ბაღში 10 სააღმზრდელო ჯგუფი ფუნქციონირებს და 60-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

ბაღს აქვს მაქსიმალურად მორგებული გარემო – დიდი და კეთილმოწყობილი ეზო, გამწვანება, გარე სპორტულ-გასართობი მოედანი (ატრაქციონები). მუსიკალური და სპორტული დარბაზი, შესაბამისი აღჭურვილობით. ბაღის ფიზიკური გარემო პასუხობს აღსაზრდელების საჭიროებებს და ინტერესებს. მოწყობილია ინდივიდუალურად, შესაბამისად ასაკისა.

სასკოლო მზაობის (და არა მარტო სასკოლო მზაობის) ჯგუფის სივრცის მოწყობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეყრდნობა, ეფექტური გარემოა შექმნილი, ორგანიზებულია ცენტრებად – აქტივობების ტიპისა და შინაარსის მიხედვით, რაც იძლევა მრავალფეროვანი საქმიანობების ერთდროულად წარმართვის საშუალებას.

ჯგუფები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით: მაგიდები, სკამები, თაროები, კარადები, დაფები, ხალიჩები, ფერადი ბალიშები, სპორტული ლეიბები. ასევე, სასწავლო მასალებით: წიგნები, პლაკატები, სახატავი და საძერწი საშუალებები, თემატური ლოტოები, კუბურები და სხვა.

ბაგა-ბაღის გარემო არის უსაფრთხო და კომფორტული. მისი კოლექტივი, მაქსიმალურად ორიენტირებულია სააღმზრდელო პროცესის მიზნობრივად და შეუფერხებლად მიმდინარეობაზე. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით პედაგოგებს, რომლებიც ცდილობენ ბავშვებს შეუქმნან მაქსიმალურად სასიამოვნო გარემო.

ამაზე მეტყველებს მე-12 ჯგუფის მშობლების წერილი ბაგა-ბაღის დირექტორის **თინათინ ნოზაძისადმი**. კოლექტიურ წერილში მშობლები: **ლალი გაბედავა**, **ბ. გელაშვილი** და სხვები სიხარულს და უღრმეს მადლობას გამოხატავენ დირექტორისა და აღმზრდელების მიმართ. აი, მცირე ნაწყვეტი მათი წერილიდან: „ნათელმა სათამაშო ოთახებმა

ცხადყვეს რომ ბაღის პედაგოგთა გუნდი არა მარტო იცნობს ბავშვის ფსიქიკას და ფაქიზად ეპყრობა მათ, არამედ გააზრებული აქვთ ბავშვის განვითარება და სოციალიზაციის როლი და მნიშვნელობა. გვინდა გამოვხატოთ კიდევ ერთხელ დიდი მადლიერება 25-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მე-12 ჯგუფის პედაგოგების მიმართ. ქალბატონებს **ლალი გაბედავას**, **თიკო ბორცვაძეს** და **ნანა კვაჭაძეს** ვუსურვებთ უფრო მეტი და მეტი აღეზარდოთ. წარმატებებს გისურვებთ თქვენ როგორც პირად, ასევე, საზოგადოებრივ საქმიანობაში. დიდი მადლობა დირექტორს და ყველა აღმზრდელ-პედაგოგს“.

ყველა თანამშრომელი შემოქმედებითად მიუდგა თავის საქმეს და მათ შორის ბაღის დირექტორი – ქალბატონი **თინათინ ნოზაძე** და ბაღის მულტიდისციპლინარული გუნდი: მეთოდისტი — **ელენე ზარიძე**, ფსიქოლოგი – **ნანა გოგოლაძე**, სპეც. პედაგოგი – **თამარ ბულია**, ლოგოპედი — **ნესტან მარღიშვილი**, მუსიკის მასწავლებელი – **თინათინ როსნაძე**, ცეკვის პედაგოგი — **კახა წკრიალაშვილი**, საქმის მწარმოებელი – **თამარ ტატუაშვილი**, უფროსი მზარეული – **სვეტლანა მჭედლიშვილი**, მნე – **ქეთევან ლომიძე**, ექთანი — **მერი ზენაიშვილი** და სხვები.

ბაღის ადმინისტრაცია და მთლიანად მომსახურე პერსონალი პოზიტიურად არის განწყობილი ინკლუზიური განათლების მიმართ და ეხმარება განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელების მშობლებს ბავშვის სწავლა-აღზრდის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში.

ბაღის დირექტორი ზრუნავს პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. პედაგოგიურ პერსონალს (აღმზრდელებს და აღმზრდელის თანაშემწეებს) ჩაუტარდათ სემინარი მაკლეინის ასოციაციის მიერ. სემინარის თემა იყო პრობლემური ქცევის მართვის სტრატეგიები.

ასევე ტარდება დაგეგმილი შიდა სემინარები, სადაც მულტიდისციპლინარული გუნდი აცნობს და უზიარებს აღმზრდელებს და აღმზრდელის თანაშემწეებს თავის ცოდნას და გამოცდილებას. მათ შორის, თემები — ადრეულ ასაკში სწავლებისა და განვითარების სტანდარტები და ინკლუზია.

თბილისის მასშტაბით წელს 40 საზაფხულო ბაღი ფუნქციონირებდა. ივლისის განმავლობაში საზაფხულო ბაღების მომსახურება 14000 აღსაზრდელმა მიიღო.

მათ შორის ერთ-ერთი აქტიური იყო 25-ე ბაგა-ბაღი. ეს მისასალმებელია და მოსახლეობის კმაყოფილებას იწვევს.

საზაფხულო ბაღის აღსაზრდელები სეზონური კლიმატის გათვალისწინებით უფრო მეტ დროს ატარებდნენ ეზოში. გაიზარდა გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებების რიცხვი, შეიცვალა რაციონი და ის გახდა უფრო მსუბუქი. საზაფხულო ბაღად შეირჩა ჩვენი ბაღი იმის გამო, რომ მას აქვს მაქსიმალურად მორგებული გარემო – დიდი და კეთილმოწყობილი ეზო, გამწვანება, გარე სპორტულ-გასართობი მოედნები (ატრაქციონები).

აღსანიშნავია, რომ საზაფხულო ბაღებში დასაქმებულებმა გაორმაგებული ხელფასი მიიღეს.

ბაგა-ბაღი დაკომპლექტებულია გამოცდილი, პროფესიონალი, ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული აღმზრდელ-პედაგოგებით. უთუოდ გაამართლებენ იმედებს: **ნაირა ხუციშვილი**, **ცირა სვანიშვილი**, **მარიკა მაჩიტიძე**, **ნათია გაგოშიძე**, **მარიკა როსებაშვილი**, **ბელა ჭიპაშვილი**, **ლალი გაბედავა**, **თინა ბორცვაძე**, **ნანა გუგულაშვილი**, **ქეთევან ქავთარაძე**.

25-ე ბაგა-ბაღი მალე მოიხვეჭს უბანში დიდ ავტორიტეტს.

რომან მოსეშვილი

გამარჯობათ, 172-ე ბაგა-ბაღელებო!

აქედან იწყება თქვენი ბედნიერი მომავალი

თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე 172-ე ბაგა-ბაღის კოპწია ეზოში შეხვალთ თუ არა, ცეროდენების მხიარული ჟრიამული გულს სიკეთით აგივსებთ. წლევანდელი წელი მათთვის საიუბილეოა, 30 წელი უსრულდებათ. ბაღის მეთოდისტი, ქალბატონი **ლალა აფაქიძე**, რომლის ძალისხმევითა და დაუღალავი შრომითაც შეიქმნა პატარებისთვის ეს საოცარი სამყარო, კოლექტივის სახელით წარდგენილია ,,თბილისზე მზრუნველის,, ნომინაციაზე.

საბავშვო ბაგა-ბაღი ყოველწლიურად განახლებული გარემოთი ხვდება აღსაზრდელებს. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ რემონტისთვის გამოყოფილი თანხით, შეიძინეს საღებავები და შიდა რესურსის გამოყენებით შეიღება სააღმზრდელო ჯგუფები, დარბაზი, კიბის უჯრედები. თვალშისაცემია სისუფთავე და აკურატულობა ყველგან-დერეფნებში, საბავშვო ოთახებში, მუსიკალურ დარბაზში, სამზარეულოში. პატარებს სნორედ მაშინ ვესტუმრე, როცა მაღალხარისხიანი, ჯანსაღი პროდუქტისგან ყუათიან სადილს მიირთმევდნენ.

ბავშვებისთვის საოცრად თბილი გარემოს შექმნა, კოლექტივთან ერთად, გამობრძმედილი, შემოქმედი დირექტორის **თამარ გობეჩიას** მოღვაწეობის შედეგია, რომელიც 3 შვილის დედა და 4 შვილიშვილის ბებიაა. ქალბატონი თამარი პროფესიით პედიატრია, ანუ ბავშვთა ექიმი და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისთვის საუცხოო ხელმძღვანელი კადრია, რადგან თუ არა მან, მაშ ვინ უნდა იცოდეს ყველაზე კარგად პატარების ფსიქოლოგია, მათთან მიდგომა და მეგობრობა.

წელს თბილისის მერიის ინიციატივით ეტაპობრივად დაიწყო საბავშვო ბაღების ეზოების გამწვანება. გამწვანების აქციაში 172-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებთან და პედაგოგებთან ერთად მონაწილეობდნენ: ქალაქის მერი **დავით ნარმანია**, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი **თემურ თორდინავა**, მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი **ბიძინა გიორგობიანი**. გამწვანების აქცია მომავალთან და ჯანსაღ გარემოსთან არის დაკავშირებული. წლის ბოლომდე თბილისის ბაღებში 4 ათასამდე კედრის ნერგი დაირგვება. მნიშვნელოვანია, რომ პატარები უყურებენ ამ ყველაფერს და დიდებთან ერთად შრომობენ, სნავლობენ როგორ დარგონ და მოუარონ ხეებს.

აი, ჩვენ 5-6 წლიანთა ჯგუფის სტუმრები ვართ. ამ ასაკის ბავშვთა ჯგუფებს გამოსაშვებ ჯგუფებს ეძახიან. პატარების აღზრდა-განათლებისთვის აქ ყველა საჭირო საშუალება და შესაფერისი სივრცე-გარემოა. ლამაზი თოჯინები, ფერად-ფერადი სათამაშოები, სხვადასხვა გასართობები, თემატიკური კუთხე და ყველაფერი, რაც სწავლისა და გართობისთვისაა საჭირო. ღვაწლმოსილი პედაგოგი **გულნაზ მჭედლიძე** არამარტო აღსაზრდელებზე ზრუნავს, არამედ იგი ყველა ახალი თაობის პედაგოგის დასაყრდენი და საიმედო ბურჯია. დარწმუნებული ვარ, არამხოლოდ ამ ჯგუფის აღსაზრდელები, არამედ ყველა სხვა ჯგუფისაც საუკეთესო სასკოლო მზადყოფნაში იქნებიან და ეს სასწავლო წელი ძალიან ნაყოფიერად ჩაივლის, რადგან აქ საუკეთესო აღმზრდელ-პედაგოგები არაინ: **მარინა ივანიშვილი** (5-6 წლიანთა ჯგუფი); **ნინო ბოჭორიშვილი** (4-5 წლ.); ციცინო სახვაძე (3-4 წლ.); **ნანა ბალაშვილი** (4-5წლ.); **ნანა დათუნაშვილი** (ბაგა); **ეკა კვარაცხელია** (4-5 წლ.); **თამუნა ზედანია** (3-4 წლ.); **ეკა შიშნიაშვილი** (4-5 წლ); **ნანა ნინიაშვილი** (5-6 წლ.); **თამილა წიკლაური** (4-5 წლ.); **თეა ლელაძე** (3-4წლ.).

გასულ სასწავლო წელს 172-ე ბაგა-ბაღმა სასკოლოდ, კარგად მომზადებული 127 ბავშვი გამოუშვა. სკოლისაკენ მიმავალი გზის დასაწყისი ულამაზესი ზეიმით აღინიშნა. ღიმილი, სიხარული, ცეკვა, სიმღერა, გართობა – ყველაფერი ერთად და ყველაფერი ძალიან ლამაზად. ღონისძიების ჩატარებაში ქლბატონ **თამარ გობეჩიას** გვერდით ედგნენ დირექტორის მოადგილე **ნინო ლომიძე**, მეთოდისტი **ლალა აფაქიძე**, მუსიკის პედაგოგები – **ნელი ჩიტაძე** და **ქეთევან გულიაშვილი**, რომლებიც მთელ გულსა და სულს დებენ პატარების მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში. მომავალი სასწავლო წლისთვის კი 130 ნიჭიერი პატარა მიუსკუპდება სკოლის მერხს.

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, მეტყველებისა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში, პატარების ჯანსაღი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ: ლოგოპედი **ლეილა ძლიერიშვილი**, რომელმაც ბევრ ბავშვს დაუხვეწა მეტყველების კულტურა, სპეც-პედაგოგი **გვანცა გვარამაძე**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის უზრუნველყოფის კოორდინატორი **როზა ავაზაშვილი**. ჯგუფების მიხედვით, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, აღმზრდელები მეცადინეობის შემდეგ, შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლინება-პრეზენტაციებს აწყობენ. აღმზრდელებს ამ რთულ საქმიანობაში აქტიურად ეხმარებიან აღმზრდელის თანაშემწეები: **მაია არჯაკელი**, **ინგა გუგეშაშვილი**, **Nნატალია ჭყონია**, **მზია ბექაური**, **ნატალია ღვინჯილია**, **ზინა ტატანაშვილი**, **ზინიკო ღლონტი**, **თეა თავაძე**, **სოფიკო ლეკიშვილი**. პაწიების მოვლის მთელი სიმძიმე ამ ადამიანების მხრებზე გადადის, რადგან ბევრმა მათგანმა კოვზის დაჭერაც კი არ იცის და მზარეულების – **მარინა მანველიძის**, **ჟუჟუნა ჯიქიას**, **ლეილა ჩიტაიას** მიერ მომზადებულ უგემრიელეს კერძებს, საკუთარი ხელით აჭმევენ.

უკვე აღვნიშნე, რომ შენობაში შესვლისთანავე სისუფთავე გეცემათ თვალში. თავდაუზოგავად შრომობენ, ყველაფერს აწკრიალებენ და ბაღის ჰიგიენაზე ზრუნავენ: **ნინო კვარაცხელია**, **მარიკა გებერიანი**, **თამარ გაფრინდაშვილი**, **მარიკა ავაზაშვილი**, **ია არჯაკელი**.

თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან და კოლექტივს ერთგულად უდგანან მხარში – საქმისმწარმოებელი **მანანა კვარაცხელია**; საქმისმწარმოებელი სამეურნეო დარგში **დარეჯან ჩიტიშვილი**; სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **იზოლდა კვირიკაშვილი**.

საინტერესო და ხალისიანია თითქმის ყველა დღე. პატარებს სტუმრები და გასართობი პროგრამებიც არ აკლიათ. გასულ წელს ბარამბინო ეწვიათ, რომელმაც მოულოდნელი სიურპრიზით ბავშვები ძალიან გაახარა, საჩუქრები დაურიგა და სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო.

დირექციას ერთი მოკრძალებული სურვილიც აქვს, საბავშვო ბაგა-ბაღის ნახევრადსარდაფში თანამედროვე აღჭურვილობის სპორტული დარბაზის მოწყობა სურთ, რაშიც აქტიურ დახმარებას თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო დაპირდათ. იმედი გვაქვს, ეს სურვილი შეუსრულდებათ და მეტი ხალისით აქტიურად გააგრძელებენ ჩვენი შვილების ბედნიერ მომავალზე ზრუნვას.

ნათია გურგენიძე

კოლეჯი – პროფესიული განათლების სამჭედლო

„ორიენტირი“ ორიენტირებულია მაღალ შედეგებზე

საზოგადოებრივი კოლეჯი **„ორიენტირი“** ერთადერთი კერძო პროფესიული სასწავლო დაწესებულებაა, რომელსაც 1992 წლიდან ჩაეყარა საფუძველი და არაერთხელ განიცადა ცვლილება როგორც განვითარების, ასევე ფუნქციური დანიშნულების მიმართულებით. საკანონმდებლო ბაზის ცვლილების მიხედვით სხვადასხვა დროს იგი ასრულებდა საშუალო-პროფესიული, პროფესიულ-სახელობო და უმაღლესი განათლების სასწავლო დაწესებულების ფუნქციას.

თავისი განვითარების მანძილზე **„ორიენტირი“** ფართოვდებოდა და ვითარდებოდა როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ასევე ხარისხობრივად. დაფუძნების პერიოდში თუ ნაქირავებ ბინაში იყო განთავსებული, დღეს მის საკუთრებაშია საკმაოდ დიდი ფართობის შენობა-ნაგებობები, ხოლო სასწავლო პროცესს ახორციელებენ დამსახურებული და გამოცდილი პედაგოგები.

„ორიენტირი“ დაფუძნებულია მამა-შვილების **ანზორ**, **რამაზ** და **სოფიო მაჭარაშვილების** მიერ. **„ორიენტირმა“** თავის მხრივ დააფუძნა ახალი საზოგადოებრივი კოლეჯი: ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია, ასევე თავის შენობის ფართზე განათავსა საზოგადოებრივი კოლეჯი **„მომავალი“**. ამით ოჯახურმა შემადგენლობამ ცალ-ცალკე გაინაწილეს სასწავლებლის მმართველობა, რაც იშვიათი პრეცენდენტია საქართველოს სინამდვილეში.

აღნიშნული სასწავლებლები სტუდენტებს სთავაზობენ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის მომსახურების სერვისს: სათანადო ტექნიკით აღჭურვილ სასწავლო ბაზებს და კაბინეტ-ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ და ეკრანიზებულ კაბინეტებს, მედპუნქტს, საკონფერენციო-საკონცერტო დარბაზს, ფართო ეზო ტერიტორიას. რომლებიც III, IV და V საფეხურზე შემდეგ სპეციალობებს დაეუფლებიან: 1. **კბილის ტექნიკოსი**; 2. **ფარმაცევტის თანაშემწე**; 4. **ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი**; 5. **მცირე ბიზნესის მწარმოებელი**; 6. **ექთნის თანაშემწე**; 7. **პრაქტიკოსი ექთანი**; 8. **მასაჟისტი**; 9. **ქიმიური** და **სასურსათო პროდუქტების ექსპერტი**; 10. **ინფორმაციული ტექნოლოგი**; 11. **ინტერნეტ-ტექნოლოგი (ვებ-სპეციალისტი)**; 12. **კრიმინალისტი (ფოტოდაგქტილსკოპისტი)**; 13. **ბუღალტერი**; 14. **ოფის-მენეჯერი**; 15. **საბაჟო საქმის წარმომადგენელი**.

„ორიენტირი“ და მისი პარტნიორი სასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. ინერგება ახალი სასწავლო მეთოდები და პროგრამები. **„ორიენტირს“** სულ ახლახანს მოდულური პროგრამებით მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლით, ხოლო **„ორიენტირს“** და **„ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას“** კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ მინიჭებული ბრენდირებით – ხუთი უმაღლესი ვარსკვლავი. სასწავლო პროცესისა და უშუალოდ ცოდნის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით **„ორიენტირის“** პედაგოგები: **ნათელა გოზალიშვილი**, **მიხეილ მღებრიშვილი**, **მარინე ნოზაძე**, **ეთერ კუპრეიშვილი**, **გურამ გიორგაძე**, **ლალი კალატოზიშვილი**, **ბორის ოსიპიანი**, **ნანა ბალახაძე**, **თამარ ბეროშვილი**, **რატი ყანდარელი**, **მიხეილ ყანდარელი**, **ქეთევან კაშია**, **მანანა სტურუა**, **ციური ცერცვაძე**, **ნინო ლურსმანაშვილი**, **თამარ შალამბერიძე**, **მაია მიქაძე**, **ხათუნა ბეჟიტაშვილი**, **მიხეილ მღებრიშვილი** სისტემატურად გადიან ტრენინგებს, ესწრებიან სემინარებს.

„ორიენტირს“ მჭიდრო კავშირები აქვს დამყარებული დამსაქმებელთან და საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან. დღეისათვის მემორანდუმი დადებულია და მიმდინარეობს საქმიანი ურთიერთობები სტომატოლოგიურ კლინიკა **„დენტასთან“**, ყოფილ **მიხაილოვის სახელობის საავადმყოფოსთან**, **ინგოროყვას კლინიკასთან**, **„ლანცეტთან“**, **„კარიტასთან“**, **„ფარმა ნეტთან“** და სხვა.

„ორიენტირის“ კურსდამთავრებულებმა თავი გამოიჩინეს დასაქმების ობიექტებში: **ნაზი ლოლაშვილმა** (მედიკალ დენტში), **ნინო ფალიანმა** (№1 კლინიკაში), **მარიამ ჭოხონელიძემ** და **ნინო საზუაშვილმა** (პსპ-ში), **ბექა კულდონაშვილმა** („ნარინჯში“), **მარი ფხიკაძემ** („ჯიპისი“-ში), **სოფო ღვინიაშვილმა** (ალადაშვილის კლინიკაში), **თამარ კოჩაძემ** (ციციშვილის კლინიკაში), **თამარ ავალიანმა** (ექთნის თანაშემწედ), **ირმა ბაბაშვილმა** (ნევროლოგიის ინსტიტუტში), **ქეთინო ლაცუზბაიამ** (ინტენსიური თერაპიის განყოფილების ექთნის თანაშემწედ), **სალომე მიქანაძემ** (მედიკალ დენტში).

სასწავლებელში პროფესიულ სწავლებასთან ერთად მაღალ დონეზე მიმდინარეობს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, საკონცერტო დარბაზში ტარდება მხატვრულ თვითშემოქმედებითი ღონისძიებები, ეწყობა ექსკურსიები, სპორტული თამაშები.

სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის მაღალი დონის. სასწავლო ფართი არის ახალი ნორმებით განლაგებული და თანამედროვე დონეზე რეაბილიტებული, აუდიტორიები და კაბინეტები აღჭურვილია ახალი, სასწავლო პროცედურების შესაბამისი ინვენტარით და თვალსაჩინოებით, კომპიუტერული, ელექტრონული, ეკრანიზებული მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის ამაღლებას და მაღალი დონის მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადებას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან სასწავლებელ **„ორიენტირს“** სწავლების კუთხით შიდა პრობლემები არ გააჩნია. არსებობს ზოგადი სისტემური პრობლემები, რომელთა აღმოფხვრა ხელს შეუწყობდა პროფესიული სასწავლებლების მეტ პოპულარობას და კონტიგენტის გაზრდას. ეს არის საშუალო განათლების მესამე საფეხურის კომპონენტის პროფესიულ სასწავლებლებში განხორციელება, სტუდენტთა ვაუჩერული დაფინანსების შემოღება, ასევე წარმოება-ორგანიზაციების ჩართულობა პროფესიულ მომზადებაში.

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია დარწმუნებულია, რომ „ორიენტირი“ და მასში შემავალი სტრუქტურები კვლავაც ბევრ წარმატებას იზეიმებენ. გამორჩეული სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობით ფრიად საჭირო კადრებს მოამზადებენ, რომლებიც თავის მხრივ ასახელებენ ხსენებულ ავტორიტეტულ სასწავლებელსა და მის კოლექტივს.

რომან მოსეშვილი

იაკობ კუჭუხიძე – 80

„დესპანი იმერეთიდან“

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის სტუმარია **იაკობ (იაშა) კუჭუხიძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის კათედრის პროფესორი. მან ცოტა ხნის წინ, შეაბიჯა მეოთხმოცე წელში. საკუთარ წარსულზე ამაყად საუბრობს, ენატრება განვლილი წლები, განსაკუთრებული სიამაყით კი, 1966-1968 წლებს იგონებს, როცა შალვა ნუცუბიძის ასპირანტი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია, შექმნა 100-ზე მეტი ნაშრომი, სტატია და ნარკვევი, რომელთა დიდი ნაწილიც შეკონა და მოათავსა 2002 წელს მისი ავტორობით გამოცემულ წიგნში „წერილები ფილოსოფიასა და ფილოსოფოსებზე“.

– მოგესალმებით ბატონო იაკობ, სტუდენტებისგან მსმენია, რომ თქვენი ლექცია-სემინარები აუდიტორიის ნაკლებობას არასოდეს უჩივის, საუბრები კი, მუდამ საინტერესო და მრავალფეროვანია. რა არის თქვენი საიდუმლო?

– მრავალფეროვნების ფუფუნებას თვით ეს დისციპლინა მაძლევს. ჩემს სტუდენტებს, უპირველეს ყოვლისა, ვეხმარები გაიაზრონ, რომ სტუდენტობის პერიოდი „ოქროს ხანაა“. ვცდილობ, თავი მათ ადგილზე წარმოვიდგინო, საკითხის საინტერესო მხარე დავანახო და მრავლისმომცველი ინფორმაცია მივაწოდო. მთავარი „საიდუმლო“ კი ისაა, რომ მიყვარს ჩემი საქმე და სტუდენტებთან თანამშრომლობა.

– რამდენი ხანია აწსუ-ში მუშაობთ?

– 1961 წლიდან, უკვე 55 წელი შესრულდა. სწავლის დასრულების შემდეგ დავიწყე პედაგოგიური მოღვაწეობა. გამოგიტყდებით და, ერთი დღეც არ მიმუშავია სხვაგან, ვერც კი წარმოვიდგენ ცხოვრებას უნივერსიტეტის გარეშე.

– თქვენი აზრით, რა არის საჭირო წარმატების მისაღწევად?

– ვფიქრობ, შრომა. როცა ადამიანი მონდომებულია და თავდაუზოგავად შრომობს, იღვწის მიზნის განსახორციელებლად, ის მუდამ მიაღწევს წარმატებას. ქართველებს ფილოსოფიის დარგში ორი გენია გვყავს, რომელთა „სიბრძნისადმი სიყვარულიც“ განუზომლად დიდია, ისევე, როგორც ღვაწლი: ერთია – მე-12 საუკუნეში **იოანე პეტრიწი**, მეორე – მე-20 საუკუნეში შალვა ნუცუბიძე. მე კი ცხოვრებაში წილად მხვდა პატივი, ვყოფილიყავი **შალვა ნუცუბიძის** ასპირანტი.

– რას ურჩევდით სტუდენტებს?

– „მე ვიცხოვრე ისე, როგორც არ უნდა ეცხოვრა ქართველ მსახიობს“ (უშანგი ჩხეიძე) – იცხოვრონ სწორად, იცოდნენ დროის ფასი, ჯაფისა თუ სიზარმაცის. ვფიქრობ, ღვთის მიერ ბოძებული სიცოცხლის ერთი შანსი ყველამ გააზრებულად უნდა გამოიყენოს და ეცადოს საკუთარი ნაკლოვანების გამოსწორებას. სტუდენტებმა სიზარმაცეს უნდა ძლიონ, წიგნთან გათეული ყოველი ღამე მათი ნათელი მომავლის საწინდარია.

– იქნებ, გვითხრათ თქვენი საყვარელი ფრაზა...

– ძალიან ბევრი შეიძლება გავიხსენო, თუმცა ერთ-ერთს გამოვყოფ: შარშან წავიკითხე სტატია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ რექტორს, **პეტრე მელიქიშვილს**, ჰკითხეს თუ რა იყო გენიალობა, რაზეც უპასუხა – **„გენიალობაა შალვა ნუცუბიძის აზროვნებას პლუს ჩემი შრომისმოყვარეობა“.**

– მაქვს ინფორმაცია, რომ გასულ წლებში თქვენი ორგანიზებით აღინიშნა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსების დამრგვალებული იუბილეები...

– მართალია, გავმართე **შალვა ნუცუბიძის**, **ანგია ბოჭორიშვილის**, **სავლე წერეთლისა** და **კოტე ბაქრაძის** საიუბილეო წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. სალექციო კურსზეც დიდ ყურადღებას ვუთმობ ქართველ ფილოსოფოსებს. თბილისში **„ჩვენი დესპანი“** შემარქვეს. დღესაც მაქვს კონტაქტი იქაურ კოლეგებთან.

– ფილოსოფოსთაგან, განსაკუთრებით ვინ დაიმსახურა თქვენი სიმპათია?

– უცხოელებიდან შეუძლებელია, ძველი ბერძნული ფილოსოფიის სიდიადე არ აღვნიშნო, გამოვყოფდი **პლატონსა** და **არისტოტელეს**, თანამედროვეებიდან კი **კანტი** და **ჰეგელი**. ქართველებიდან **შალვა ნუცუბიძე**, **სერგი დანელია**, **კოტე ბაქრაძე**, **აკაკი ბაქრაძე**. ცოცხლებიდან **გურამ თევზაძე**, რომელიც მის უმცროს მეგობრად მთვლის.

– მომიყევით თქვენს ოჯახზე...

– მყავს მოსიყვარულე მეუღლე – **მანანა კოპალიანი**, რომელიც ინგლისური ენის სპეციალისტია და ერთი ვაჟი – **გიორგი**. გიორგი ამერიკაში ცხოვრობს, მართავს საკუთარ ბიზნესს და ჰყავს ოთხი შვილი. ზოგჯერ ხუმრობით მეტყვის-ხოლმე ოთხი შვილის მამა ვარ, ამაში გჯობივარო. ორი წელი ოჯახით იყო ჩამოსული, ბავშვები ქართულ სკოლაში შეიყვანა, რომ ენა კარგად ესწავლათ, მერე კი ისევ წავიდნენ... ძირძველ, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, თბილი და მოსიყვარულე შვილიშვილები მყავს.

– ჩვენს გაზეთს სოციალურ ქსელში აქვს საკუთარი გვერდი, სადაც განთავსდება სტატიის ელექტრონული ვერსია, ამიტომაც ინტერვიუს წაკითხვას თქვენები მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეძლებენ. რას ეტყოდით მათ?

– მოვიკითხავ დიდი სიყვარულით. მენატრებით და ვიმედოვნებ, მალე გნახავთ.

– დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

– მადლობა თქვენ.

ლანა ცირამუა

ყურადღება! განათლების სისტემის ყველა მუშაკს!

მეჯად საჭირო წიგნი

გამოვიდა თბილისის საგანმანათლებლო- აღმზრდელობითი დაწესებულებების **საინფორმაციო-სატელეფონო ცნობარი.**

იგი შეიცავს: საჯარო და კერძო სკოლების, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების, სახელოვნებო და სპორტული დაწესებულებების, საბავშვო ბაღების, მათ ხელმძღვანელთა საკონტაქტო მონაცემებს. ასევე: ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, კინოთეატრების, გადაუდებელი საჭიროების სამსახურებთან დასაკავშირებელ მონაცემებს.

ცნობარი უთუოდ შეგიწყობთ ხელს როგორც სამსახურებრივი საქმიანობის, ასევე პირადი საჭიროება-ინტერესების დაკმაყოფილების საქმეში.

დაგვიკავშირდით: 2 34 41 41, 599 34 41 41
ელ-ფოსტა: moseshvilir@gmail.com

რომან მოსეშვილი

ხსოვნა

ნაპოლეონ მესხიას მოსაგონარი



გამოჩენილ ქართველ პედაგოგთა რიგებს გამოაკლდა აფხაზეთიდან დევნილი, ღვაწლმოსილი მასწავლებელი **ნაპოლეონ (ნაპო) მიხეილის ძე მესხია**. იგი მოსწავლეობიდან გვახსოვს, როგორც თავაზიანი, ერუდირებული, კეთილი, კაცთმოყვარე, პატრიოტი პიროვნება. ტარიელ გოლუასავით განუყრელად სვანურ ქუდს ატარებდა.

დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალ კინდღში. წარჩინებით დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა, შემდეგ — თბილისის დედაუნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. უნიჭიერეს ახალგაზრდას მისი დიდი მოგვარე, სახელოვანი ისტორიკოსი, პროფესორი შოთა მესხია კათედრაზე დატოვებას და სამეცნიერად მომზადებას უპირებდა. ცხოვრებამ კი სხვა გზით წაიყვანა.

ნაპო მესხია პედაგოგის ოჯახიდან იყო გამოსული. მისი მამა მიხეილი ახალი კინდღის საშუალო სკოლის ცნობილი დირექტორი გახლდათ. მისი ძმა ინვერ მესხიაც ტყვარჩელში სკოლის დირექტორად მუშაობდა.

ნაპო მესხიას პედაგოგიური დებიუტი მშობლიურ სკოლაში შედგა ისტორიის მასწავლებლად. შემდეგ ამავე რაიონის სოფელ არადუში საცხოვრებლად გადავიდა და იქაც პედაგოგობა განაგრძო. მალე გაითქვა სახელი, ავტორიტეტი მოიხვეჭა, დააწინაურეს სკოლის ორგანიზატორად, დირექტორის მოადგილედ, დირექტორად. უყვარდათ მოსწავლეებს, მთელ სოფელს. აფხაზეთის ომში გმირულად იცავდა მამულს, იყო ომის ვეტერანი.

ბედმა დევნილობისთვის გასწირა. ქუთაისი აღმოჩნდა ამ სამზეოზე მისი ბოლო საცხოვრებელი. აქაც თავის საყვარელ საქმეს – პედაგოგობას უერთგულა. ქუთაისში დააფუძნა ჟიული შარტავას სახელობის მე-6 საშუალო სკოლა. დიდხანს თავკაცობდა მას. როგორც აფხაზეთში, აქაც სახელი გაითქვა. მოსწავლე-ახალგაზრდობამ, საზოგადოებამ გაითავისა, შეიყვარა ძვირფასი მოძღვარი.

დევნილობასთან ერთად შვილის სიკვდილის სიმწარეც იწვნია, და...

ამდენ უბედურებას მისმა ფაქიზმა გულმა ვერ გაუძლო. განუკურნებელმა სენმა ძლია.

მისმა აღზრდილებმა, კოლეგებმა, მეგობრებმა, ოჯახმა მისგან დაფუძნებული მე-6 სკოლის შენობიდან უკვდავების საბინადროში გააცილეს ღვაწლმოსილი პედაგოგი **ნაპოლეონ მესხია**.

თბილი და მსუბუქი იყოს მისთვის ქუთაისის მიწა.

მეგობრების სახელით: **ტიტე** და **ზიგფრიდ ხუხუები**, **ბორის მიშველაძე**, **ხიმურ რუხაია**, **ვალტერ სიჭინავა**, **გიზო გეგეჭკორი**, **სვეტა გადელია** და სხვები.

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+, №12 (4533)
28 სექტემბერი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რ ე დ კ ო ლ ე გ ი ა

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 58 45 72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34-41-41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ.ფოსტა: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ.: (032)2 99 80 00
(032)2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113